საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სეიშაბათი, 10 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია დიდი ვანქის ქუჩაზე № 3. ფაეიური ხელის მომწერთათვის ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 7 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 7

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის შერეული რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩარქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც შეხვედრის საღამოთ.

ბიურო დიან საღამობით 5—7 სთ. საათამდე.

თბილისში მცხოვრები პარტიის ყველა წევრები ვალდებულნი ვართ სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ რაიონებში. პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატინის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,ათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. პ. იურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიან დილის 10 სთ. საათადან ნაშუადღევის 1 სთ. საათამდინ და საღ. 5 სთ. საათ. 7. სთ. საათ.

ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო.

21 ივნისს შესრულდება 15 წელიწადი, რაც გარდაიცვალა დაუვიწყარი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე. ამ დღისთვის განზრახულია განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ გამოიცეს განსაკუთრებული შინაარსის ნომერი, სადაც მოთავსებული იქნება ალ. წულუკიძის დამახასიათებელი წერილები და სტატიები, მოგონებანი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ და სხ. და სხ. გთხოვთ ყველა ამხანაგებს დაჩქარებით მოგვაწოდონ შესაფერი მასალები და განსაკუთრებით კი განსვენებულის ყოველგვარი წერილები.

მოჯადოებული წრე

კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის მიერ შექმნილი მდგომარეობა ჩვენში მოჯადოებულ წრეს მოგვაგონებს; ეს მდგომარეობა საესეა წინააღმდეგობებით. ჩვენი ამხანაგებისათვის ციხის კარები გაიღო და ისინი იქიდან გამოვიდენ. აშკარაა თავის ნებით არავინ არ შევა საპყრობილეში და არც იატაკ ქვეშ ჩაძვრება. მაგრამ კომუნისტური პარტია, რანაირიც არ უნდა იყოს მისი მდგომარეობა, ე. ი ლეგალური თუ არა ლეგალური, გულზე ხელდაკრეფილი ის ვერ გაჩერდება. იმავე დროს მართვა-გამგეობის წესი, სისტემა სრულებით არ შეცვლილა, ის დარჩა ისეთი, როგორიც იყო. როცა 1917 წლის თებერვალში რევოლიუცია მოხდა, და ჩვენი ამხანაგები განთავისუფლდენ, მაშინ ჩვენი პარტიის დევნის აპარატიც მოისპო. სრულიად სხვანაირია. დღევანდელი ლეგალიზაცია: ჩვენ თავისუფლება მოგვენიჭა, მაშასადამე, თავისუფალი, ლეგალური მუშაობის უფლებაც უნდა გვქონდეს. მაგრამ იმავე დროს არა თუ არ შეცვლილა საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში ჩვენდამი მტრული განწყობილება, არამედ სავსებით დაცული და შენახულია ჩვენი პარტიის დევნის აპარატი, რომელიც სწორედ ამ მიზნით იყო შექმნილი.

ყველამ კარგათ უწყის, რომ იმ დროს, როცა ჩვენ ამხანაგებს ციხეებიდან უშვებდენ, ზოგიერთ ალაგას მთავრობის აგენტები სხვა ჩვენ ამხანაგებს იჭერდენ და დღესაც იჭერენ, და ახლაც ბევრი ჩვენი ამხანაგები ამა თუ იმ მიზეზით დატყვევებული არიან. ის გარეგოება, რომ თითოეულ ჩვენგანს ორ-ორი და სამ-სამი „მეთვალყურე“ დასდევს უკან ბ-ნ კედიას „უსაქმოთ“ დარჩენილ დაწესებულებიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ამაში როდია. იყო შემთხვევები, როგორც თფილისში, ისე პროვინციაში, როცა მთავრობის აგენტებმა ჩვენი პარტიული კრებები გარეკეს და პარტიის წევრებზე ძალდატანება იხმარეს. ყველაფერი ეს ადვილათ გასაგებია, ვინაიდან მთავრობის აგენტებისთვის ის, რაც მოხდა საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ, გაუგებარია. გუშინ კომუნისტებს არათუ შეკრების, არამედ თავისუფლად გავლის ნებას არ აძლევდენ, და დღეს ეს „მავნე“ ხალხი ისე გათამამდა, ხომ აშკარათ კრებას მართავს! როგორ უნდა გაიგოს, როგორ უნდა შეურიგდეს ამას განსაკუთრებული რაზმის ან მილიციის მოხელემ; და იგი თავისას ვანაგრძობს. მაგრამ ჯანი გავარდეს: ასეთ წვრილ გაუგებრობას კიდევ როგორც იქნება გადავიტანთ, მაგრამ რას იტყვით იმ შემაძრწუნებელი ფაქტის შესახებ, რომელიც ამ დღეებში ხაშურში მოხდა. ჩვენ ვამბობთ ამხ. ქალიაშვილის მოკლაზე: იგი ჯერ დაატუსაღეს და შემდეგ გზაზე მოკლეს. რა თქმა უნდა, ეს საზიზღარი დანაშაული არავის შერჩება, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ხდება პროვინციაში, შეიძლება იქ კიდევ ამაზე უფრო უარესი, ამაზე უფრო შემაძრწუნებელი ამბები ხდება. ერთი სიტყვით აშკარაა, რომ ჩვენს ირგვლივ კვლავ რაღაც მძიმე ატმოსფერა დგება.

და სწორედ ასეთ დროს, როცა ამ მძიმე ატმოსფერის გათხელებაა საჭირო, გაზ „ერთობა“, სრულიად უძლური იდეიურათ გვებრძოლოს, — დაარღვიოს ჩვენი საბუთები, დაურცხვენელათ აცხადებს: „ნუ გვათქმევინებს „კომუნისტი“, რომ ამისთანა შემთხვევებში **სიტყვიერი კამათი არ კმარა** (ხაზს ჩვენ ვუსვებთ) „ეჭვიანების“ დასაჯერებლათო“ (№ 126). ეს სიტყვები მეტათ საგულისხმიეროა არა მუქარით, რა თქმა უნდა, ვინაიდან „ერთობელებმა“ კარგათ იციან, რომ ასეთი მუქარა ჩვენზე არ გასჭრის, საგულისხმიეროა ეს სიტყვები იმ მხრით, რომ „ერთობელები“ უძლური არიან ჩვენ იდეიურ ნიადაგზე დაგვამარტოონ და ამიტომ სიტყვიერ კამათს სხვა ნაირ „იარაღზე“ სცვლიან. მხოლოდ სიტყვას ნუ მიკიბ-მოკიბავთ, თქვით პირდაპირ, ნუ შეგეშინდებათ.

მაგრამ ის კი უნდა იცოდეთ, რომ რა გვარ საშუალებასაც არ უნდა მიმართოთ, რა იარაღიც არ უნდა იხმაროთ, კომუნისტურ პარტიას ვერ მოსპობთ. თქვენ ეს იცით გამოცდილებით: თითქმის ორ ნახევარ წლის განმავლობაში თქვენი მთავრობა სდევნიდა ჩვენ პარტიას, რომელიც კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, და აი შედეგი: ამ ხნის განმავლობაში კომუნისტური პარტია გაიზარდა, გამოიწაფა ბრძოლაში და ბევრათ უფრო გავლენიანი შეიქნა, ვინემ წინეთ იყო. და თუ მას კიდევ ახალი განცდა დაატყდა, დარწმუნებული ყავით, რომ ის კიდევ უფრო გამოწაფება და გაიზდება, კიდევ უფრო გავლენიანი შეიქნება. მხოლოდ ერთი გარემოებაა ამ შემთხვევაში სამწუხარო, — ეს ის, რომ მეტი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება, პარტია კი, როგორც ასეთი, მოიგებს.

ჩვენ არც ვიკვეხნით შექმნილი მდგომარეობით, არც არავის ვემუქრებით. ჩვენ თავის საქმეს ვაკეთებთ, და ჩვენი სურვილია, ნურავინ შეგვიშლის ხელს ჩვენი საქმის ვაკეთებაში.

ჩვენ ორგანიზაციებს და ამხანაგებს ჩვენ ამავე დროს ასეთ დარიგებას და რჩევას ვაძლევთ. ჩვენ ვაწარმოებთ პარტიულ მუშაობას ყველას თვალწინ, აშკარათ, დაუფარავათ. ყოველგვარი გამწვავება მდგომარეობის, შეხლა-შემოხლა მთავრობის აგენტებთან, რაც უთუოთ ექსცესს გამოიწვევს ან ერთი ან მეორე მხრიდან, ჩვენი საქმისთვის, ჩვენი მუშაობისთვის სასურველი არაა. პირიქით, ჩვენ ასეთ რამეებს უთუოთ უნდა ვერიდოთ, და ვებრძოლოთ ამას სხვა საშუალებით, როგორც, მაგ., ფაქტების გამოქვეყნებით. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ხშირათ განზრახ დაიწყებენ ჩვენ დევნას, განგებ შექმნიან ისეთ მდგომარეობას, რათა ჩვენგან გამოიწვიონ რაიმე ექსცესი, რომ შემდეგ თავისი უდიეროობა და დანაშაული გაამართლონ. ამიტომ რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე, მეტი თავდაჭერილობა, აი რა გვმართებს ჩვენ იმ მძიმე პირობებისგან თავის დასახწევათ, რომლებიც ჩვენს გარშემო შეიქნენ.

დიქტატურის უარყოფა

სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელ პირობათ იყო აღიარებული სოციალიზმის განხორციელებისათვის. ეს პროგრამა ქართველ მენშევიკებს დღესაც ხელში უჭირავთ, ყოველ შემთხვევაში მათ ჯერ ოფიციალურად არ ამოუგდიათ თავისი პროგრამიდან დებულება დიქტატურის შესახებ. სინამდვილეში კი ისინი მთელი თავისი მოღვაწეობით, სიტყვით თუ საქმით, ძირიანად უარყოფენ მას.

საინტერესოა როგორი თანდათანობით მივიდენ ისინი ამ თავისი რწმენის უარყოფამდე. როდესაც ბალშევიკებმა საღდეისო კითხვათ დააყენეს ძალა-უფლების ხელში აღება პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად, მენშევიკებმა ხელები გაასავსავეს, — ადრეა ჯერ, პირობები არ არის მომზადებული. როცა ბალშევიკებმა პრაქტიკულად აიღეს ხელთ ძალა-უფლება და პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადეს, მენშევიკებმა ამას ავანტიურა უწოდეს და თან უეჭველი დამარცხება უწინასწარმეტყველეს, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა მომხდარიყო. როდესაც ბალშევიკების ძალა-უფლება მკვიდრი გამოდგა და თვით შეუდგა პროლეტარიატის მტრების დათურგვნას, მენშევიკებმა დაიწყეს მათი სახელის გატეხა, — ეს პროლეტარიატის დიქტატურა კი არ არის, ეს ხიშტების, სალდათების დიქტატურა არის, ხოლო პროლეტარიატი კი მისი წინააღმდეგია, მარა რა ქნას, ძალას ემორჩილება.

ყველა ამ ეტაპებში, მიუხედავად დიქტატურის პრაქტიკული უარყოფისა, მენშევიკები თავიანთ იდეას ვერ უარყოფდენ.

ბოლო დროს კი მათ თამამათ დაუპირდაპირეს პროლეტარიატის დიქტატურას ახალი ფორმულა: დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ. ამით ისინი სავსებით გამოეთხოვენ დიქტატურის იდეასაც, თუმცა ეს არ ჩამოუყალიბებიათ შესაფერი დადგენილებით.

უმთავრესი დავა ჩვენსა და მათ შორის სწორეთ პროლეტარიატის დიქტატურის ცნობა — არ ცნობაში გამოიხატება. ამიტომ ჩვენ ხშირათ გვექნება ამ საკითხის შესახებ საუბარი. დღეს დღეობით კი საკითხის რამდენიმე მხარეს გავარკვევთ.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მენშევიკების პარტიაში არავითარი ტკივილები, არავითარი შეხლა-შემოხლა არ გამოუწვევია პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას; იგი თანდათანობით იქნა მივიწყებული და მისი ბუნებრივი სიკვდილი არავის უგლოვია. ამავე დროს ამ პარტიას, როგორც ზემოთ ვთქვით, დღესაც ხელში უჭირავს პროგრამა, რომელშიაც დიქტატურის იდეა შემდეგი მეტათ გარკვეული სიტყვებით არის ჩამოყალიბებული: „ამ სოციალური რევოლიუციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს **პროლეტარიატის დიქტატურა**, ე. ი. დაპყრობა პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალა-უფლებისა, რომელიც შეაძლებინებს მას დაახშოს ექსპლოატატორების ყოველგვარი წინააღმდეგობა.“

გეგონებათ ეს სიტყვები საგანგებოთ არის დაწერილი დღევანდელი მენშევიკების წინააღმდეგო. ნამდვილათ კი ეს თავის დროზე დაწერილი იყო მაშინდელი მენშევიკების წინააღმდეგ და დღევანდელი ჩვენი მენშევიკები წარბ-შეუხრელათ აწერდენ მას ხელს.

მაშინ დიქტატურას ხელს აწერდენ, ახლა მის გაგონებაზე ხელებს ასავსავებენ. რით აიხსნება ასეთი ძირითადი ცვლილება მათ მსოფლ-მხედველობაში? ჩვენ აქ სრულიათ არ გვაინტერესებს ამ საკითხის სუბიექტიური მხარე, მისი ფსიქოლოგიური მომენტი, ეს ჩვენს მოწინააღმდეგეებს სჩვევიათ: როდესაც ისინი ჩვენს ამა თუ იმ დებულებას ვერ გაიგებენ, მყისვე ჩვენს პატიოსნებას წამოპოტინებიან და ზნეობაზე ლათაიებს გვიკითხავენ. ჩვენთვის საინტერესოა საკითხის ობიექტიური მხარე, მისი სოციალური მომენტი; ეს საკითხი ჩვენ უნდა გავარკვიოთ თანახმათ მარქსის იმ უტყუარი დებულებისა, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას და არა პირიქით.

როგორია მდგომარეობა?

დიქტატურა არ არის ოცნებით გამოგონილი უშინაარსო ცნება, უქმი ფანტაზიის უსიცოცხლო ნაყოფი. მას თვით თანამედროვე წარმოებაში, ადამიანთა ცხოვრების ამ ერთათ ერთ წყაროში აქვს თავისი ძირი. ეს წარმოება კი ისეა მოწყობილი, რომ უმრავლესობას არ გააჩნია წარმოების საშუალებანი და იძულებულია თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩინოს თავი, ხოლო ეს საშუალებანი უმცირესობას ჩაუგდია ხელთ, მისი წყალობით ის გაბატონებულია უმრავლესობაზე და ყვლეფავს მას. ეკონომიურ ბატონობას უერთდება პოლიტიკური ბატონობაც, ე. ი. დიქტატურა, რომლის შემწეობითაც მაგრდება და მტკიცდება უმრავლესობის გაყვლეფა. წარმოებაში პირისპირ დგას ორი კლასი, კლასი გამყვლეფელთა და კლასი გაყვლეფილთა, ანუ ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მათ შორის არსებული წინააღმდეგობა თვით წარმოების წესიდან გამომდინარეობს, ამ ნიადაგზე წარმოშობილი კლასთა ბრძოლა სრულიათ ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა, ხოლო ამ ბრძოლის საუკეთესო იარაღი იგივე დიქტატურაა. ბურჟუაზიას უნდა პროლეტარიატი ეკონომიურ მონობაში ამყოფოს, ხოლო ის ამას ვერ მიაღწევს, თუ ხელთ არა აქვს პოლიტიკური ძალა უფლება, თუ ხელთ არა აქვს დიქტატურა, — ეს არის ბურჟუაზიის დიქტატურა. მეორე მხრით პროლეტარიატს მისი სასიცოცხლო ინტერესები აიძულებენ ბურჟუაზიას ებრძოლოს და მისი ბატონობა დაამხოს, ხოლო ისიც ვერ მიაღწევს ამას, თუ მან ხელთ არ აიღო პოლიტიკური ძალა-უფლება, თუ არ განამტკიცა თავისი დიქტატურა, — ეს არის პროლეტარიარის დიქტატურა.

ასეთი გახლავთ ულმობელი სინამდვილე, რომლის ჭეშმარიტ ხასიათს ჩქმალავს და ბურუსში ხვევს ბურჟუაზია, რადგან მისთვის ხელსაყრელი არ არის ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელება, ხოლო ამავე სინამდვილეს ააშკარავებს პროლეტარიატი, რადგან მისთვის მეტათ ხელსაყრელია ფართო მასსისთვის თვალის ახელა.

ასეთია ამ ორი უმთავრესი კლასის ურთიერთობა, რომელიც, საბოლოოთ განსაზღვრავს მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას.

აქ საშუალო ადგილი უჭირავს წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც წარმოებაში მეორე-ხარისხოვან როლს თამაშობს. წინააღმდეგ პროლეტარიატისა, რომელსაც თვით წარმოება აერთიანებს და აკავშირებს, წვრილი ბურჟუაზია იმავე წარმოების გავლენით თანდათან ნაწილდება ტ ქუცმაცდება. იგი პროლეტარიატზე ნაკლებათ არ იტანჯება ამ წარმოებაში, მაგრამ მას არ შეუძლია დამოუკიდებლათ აწარმოოს ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და შეითვისოს ამ ბრძოლის პროლეტარული მეთოდები. მას სძაგს ბურჟუაზიის დიქტატურა, მაგრამ არა ნაკლებ უფრთხის იგი პროლეტარიატის დიქტატურასაც, რადგან მას ეშინია თავისი „საკუთრების“ დაკარგვის, თავისი „დამოუკიდებლობის“ მოსპობის.

ამ ნიადაგზე ეძლევა ადგილი წვრილ ბურჟუაზიულ უტოპიების აღმოცენებას, უნაყოფო ოცნებას შესახებ კლასთა ბრძოლის განელებისა, და მოწინააღმდეგე კლასთა შეთანხმებ-მორიგებისა, ამაზე შენდება წვრილ ბურჟუაზიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის იდეოლოგია, რომელიც უარყოფს დიქტატურას და მის ადგილას აყენებს „საკუთარ“ ფორმულას, ეგრეთ წოდებულ დემოკრატიზმს, რომელსაც ისე აქვს საქმე წამოდგენილი, თითქო გაბატონებული უმცირესობა თავისი ნებით დამორჩილდება დამონებულ უმრავლესობას და საჭირო არ იქნება დიქტატურა, როგორც ძალადობის იარაღი.

მაშასადამე, დიქტატურის უარყოფა წვრილ ბურჟუაზიას ახასიათებს. ამის მიზეზი მის სოციალურ მდგომარეობაშია ჩამარხული. მისი ასეთი განწყობილება დიდათ მოსწონს ბურჟუაზიას და ყველა ანტი-პროლეტარულ ჯგუფებს და პარტიებს, რომლებიც მოხერხებულათ იყენებენ მას პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზემოთ ნათქვამის შემდეგ მენშევიკებს არაფრათ ეპიტნავებათ, თუ მათ მიერ დიქტატურის უარყოფას მათი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნებიდან გამოვიყვანთ. მათ ორტოდოქსალურ მარქსისტებათ მოაქვთ თავი და მარქსიზმის დაცვაში თავისი ბადალი აღარავინ გონიათ.

ერთ დროს მართლაც მარქსისტობდენ ისინი, პროლეტარიატის დიქტატურასაც სცნობდენ, მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, თეორეტიული ვარჯიშობა, რომელიც პრაქტიკულათ დიდ ზიანს არავის აყენებდა. ხოლო როცა სიტყვა საქმეთ უნდა ქცეულიყო, მათ უარყვეს დიქტატურა, თანდათან ჩამოქვეითდენ, სანამ საბოლოოთ, როგორც პრაქტიკულათ, ისე თეორეტიულათ, წვრილ-ბურჟუაზიულ დემაკრატებათ არ გადიქცენ.

დიქტატურის უარყოფის გარდა სხვა მრავალი ფაქტიც ხმა მაღლა ღაღადებს მათ მიერ მარქსისტულ პოზიციის მიტოვებას. ხოლო დიქტატურის საკითხი ყველაზე ძლიერათ ააშკარავებს მარქსიზმიდან მათ ჩამოშორებას. მარქსის რევოლიუციონურ თეორიაში ყველაზე ძლიერათ სწორეთ პროლეტარიატის დიქტატურა ელვარებს. ამით ის განირჩევა ყველა სხვა პარტიებიდან. სწორეთ დიქტატურას ვერ ურიგდებოდენ ვერც წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტები, ვერც ანარქისტები, ვერც ოპორტიუნისტები.

მენშევიკები ვერ შესძლებენ ამის წინააღმდეგის დამტკიცებას.

აქაური.

ფაქტიური შენიშვნები ჩვენს მოპირდაპირეთ.

ისტორიულათ უეჭველია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი წლის სახელმწიფოებრივმა ნაციონალ-დემოკრატიულმა (და არა სოციალ-დემოკრატიულმა) პოლიტიკამ ქართველ მენშევიკებისამ, მათმა საერთო მოღვაწეობამ „კ ლ დ ე ს ა“, „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს“ და „ვ ო ზ რ ო ჯ დ ე ნ ი ე - გ რ უ ზ ი ს“ მომხრეებთან ერთად, ვეშაპელ-გვაზავა-გოთუებთან,— თავისი ღრმა კვალი, თავისი ელფერი დააჩინა ჩვენს ძველს ნაამხანაგარებს: ისინი დღეს ხელჩაკიდებულნი თითქოს იდეოლოგიურათ ერთგვარათ ამხედრებულან კომუნიზმის (სოციალიზმის) წინაალმდეგ, რომლის მქადაგებელი ჩვენი „კომუნისტია“. ჰსიხოლოგიურათ სხვაგვარ არც შეიძლებოდა: ესენი 1917 წლის ოქტომბრიდან მოგვშორდენ ჩვენ საბოლოოთ, გაარღვიეს საერთო რევოლიუციონური ფრონტი რუსეთის დიდი რევოლიუციისა და ადგილობრივ განაგრძეს რა კერენსკის გაკოტრებული პოლიტიკა ბურჟუაზიასთან საერთო თანამშრომლობა-შეთანხმებისა, შეუდგენ ნაციონალურ სახელმწიფოს აშენებას. რაც კერენსკის ვრცელი რუსეთის ფარგლებში არ გამოდგა, ის თითქოს აქ შესაძლებელი შეიქნა ჯერ-ჯერობით მაინც... ეს ფაქტია. ამას ჩვენ არ უარვყოფთ. მაგრამ, ინებეთ, თქვენც ნუ უარყოფთ იმას, რომ ეს არ არის სოციალისტური ან ინტერნაციონალისტური პოლიტიკა „ყველა ქვეყნის პროლეტარებისა“, შუაზე უზის დიდი ზღვარი! იმავე დროს ტრაგედიაა თქვენში: „ე რ თ ო ბ ა“ და „ბ ო რ ბ ა“-ს ეს ლოზუნგი აწერია თავზე — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“—ლოზუნგი ინტერნაციური, კომუნისტური!.. სამწუხაროთ „ე რ თ ო ბ ა ს“ და „ბ ო რ ბ ა ს“ შემადგენელ რედაქციებში, ალბათ, ძალიან ცოტაა რეალურ და ისტორიულ პოლიტიკის მცოდნენი, ნამეტურ წარსულისა მაინც...

უეჭველ „კეტ“ური განცხადებას ჩვენი „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს ა ს“, რომ ლოზუნგი „შეიარაღებულ აჯანყებისა“ იყო ნაყოფი უკანასკნელი დროის რეპრესიებისა და მანამდე ის არ შეადგენდა დღიურ წესრიგს ადგილობრივ კომუნისტებისას —„ერთობა“ უარყოფს (№ 125), წარსულს იგონებს და მის ბურუსში პრინციპიალურ საკითხს ფარავს...

მოქალაქენო! თქვენ ჯერ ამიერკავკასიის კამისარიატი გქონდათ სომხის ბურჟუაზიისა და აზერბეიჯანის ბეგების წარმომადგენლებთან ერთად... შემდეგ თათარ-გერმანელ იმპერიალისტების კარნახით გადაკეთდით ამიერ-კავკასიის სეიმათ... ჩვენ იქ ყოფნა არ ვინდომეთ და პრინციპიალური დეკლარაციაც წაგიკითხეთ კამისარიატის შედგენის პირველ დღესვე.

ბათომის დასაკავათ ოსმალეთთან მაინც შეიქნა საჭირო ომი. ომის გამოცხადების წინა დღით ჩემთან იყო ერთი თქვენი მეთაურთაგანი, რომელსაც ახლა უმაღლესი ალაგი უჭირავს საქართველოს სახელმწიფოში. რასაკვირველია, როგორც თვითონ განაცხადა, ის ოფიციალურათ არ მოსულა ჩემთან, არამედ კერძოთ. როგორც ძველმა ნაამხანაგარმა მან კარგათ იცოდა, რომ „ალექსანდროვის ბაღში მშვიდობიანი მიტინგის“ დახვრეტის შემდეგ მე მათთან არც საჯაროთ და არც კერძოთ შეხვედრა არ შემეძლო. ასეთი იყო სულიერი განწყობილება—და მე, მოგეხსენებათ, „დიპლომატი“ არ გახლავართ.

მიუხედავათ ამისა მასთან ორ საათს ვსაუბრობდი ჩემს ოთახში. დიდი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ტრაგედია. მაგრამ არა ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, რომელნიც „ოპტიმისტურათ“ ვუცქეროდით და დროებითად მიგვაჩნდა ის, როგორც ერთი პირველი საფეხურთაგანი იმპერიალისტურ ომის დიდ სამოქალაქო ომათ გადასაქცევათ მთელ ევროპის, მთელ მსოფლიოს ფარგლებში. მაგრამ ასეთი როდი იყო მენშევიკებისათვის ეს დიდი (თუნდაც ტრაღიკული, მარა აუცილებელი და რევოლიუციისათვის სასიცოცხლო) აქტი.—ჩვენ გირჩევდით მიგეღოთ ბრესტის ხელ-შეკრულება, და არ გაგერღვიათ რევოლიუციონური ფრონტი. მაგრამ თქვენ ეს უარყავით. შევგებებოდით, ვინძლო საჭირო შექმნილიყო, თათარ-გერმანელების იმპერიალისტებს... გავშორდით. თავისთავად ცხადია, რომ მეც კერძოთ ვესაუბრებოდი მას, და არა როგორც წარმომადგნელი ადგილობრივ კომუნისტების. თუმცაღა მე მივეცი მას შეკითხვა, თუ ოფიციალურათ ხარ გამოგზავნილი თქვენი საოლქო კომიტეტისაგან, მე შეეკრებ ჩვენსას—და დაგიდასტურებთ ოფიციალურათ პასუხს—მეთქი მან ეს უარყო. კითხვა იყო მაშინდელ ორიენტაციაზე. მე ვურჩევდი დარჩენილიყვენ რუსეთის დიდი რევოლიუციის ორიენტაციით. პირადათ ის გამშორდა თითქოს, როგორც თვითონ განაცხადა, ამგვარ ორიენტაციით. ახლა ჯერ დაწვრილებით ისტორიის წერის დრო არ არის. მარა საჯაროთ გიცხადებთ, პატივცემულნო მოქალაქენო, რომ არც მაშინ სამეგრელო-ლეჩხუმის და არც შემდეგ დუშეთ-საჩხერის გამოსვლები ადგილობრივი კომუნისტების კოლექტივის მოწყობილი არ იყო. ისინი იყვნენ საერთო სტიქიური მოძრაობა მასსებისა, რომლებმაც, შეიძლება, ჩვენზე (ე. წ. მეთაურებზე) უკეთ იგრძნეს თქვენი პოლიტიკის მარჯვნით გადატეხა.—ჩვენგან —რევოლიუციონურ მარქსისტ სოციალ-დემოკრატებიდან (მაშინ აქტიურათ ჯერ არ იყო „კომუნისტის“ სახელწოდება) ნაციონალ-დემოკრატებისაკენ, ჩვენგან— ლენინ-ტროცკისაგან, ასე ვსთქვათ, ვეშაპელ-გოთუა-გვაზავეებისაკენ და ევროპის კულტურულ-დემოკრატიისაკენ, ესე იგი ინგლისს-საფრანგეთის (ლოიდ-ჯორჯი- კლემანსო) იმპერიალისტებისაკენ. ამით უნდათ. ჩვენი მოსპობა უნდოდათ აქაც. თქვენ მათი კარნახით (რასაკვირველია, ძალდატანებით, შეიძლება, მარა ეს ფაქტია), რეპრესიები გააძლიერეთ— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ციხეები ათასზე მეტი ჩვენი თანამოაზრეებით გაავსეთ... და გეგონათ, ბოლოს მოგვიღებდით... მარა დარჩენილებმა კიდევ ციხის გარეთ აასრულეს თავის რევოლიუციონურ-პოლიტიკური მოვალეობა და შეგებრძოლენ ისე, როგორც შეეძლოთ. მოსკოვმა გაგვასწორა... თითქოს მშვიდობა—ზავი ჩამოაგდო... და თავისუფალი იდეიური ბრძოლა ვწიოთ.

ფრთხილათ მოვექცეთ ისტორიას... ის, როგორც სჩანს თქვენი უკანასკნელ ნაწერებიდან „ერთობა-ბორბა“-ში, ძლიერ ბუნდოვანად გაქვთ წარმოდგენილი. ვიმეორებ: ახლა დაწვრილებით ისტორიას არ ვეხები, თუმცა-ღა ის ჩემს ნერვებზედაც საკმარისად დაწერილია.

თუ მომავალში საჭირო შეიქმნა, ინებეთ,—მე ყოველთვის მზათ ვარ.

მიხა ცხაკაია.

ინგლისის პროლეტარიატი და ინტერნაციონალი

(დასასრული)

და ამიტომაც, როცა მსოფლიო ბაზარზე ინგლისის კაპიტალის მდგომარეობის ისევ გაუარესებასთან,—რაც ამერიკის, გერმანიის და იაპონიის კონკურენციით, პურის გაძვირებით, შეიარაღების ზრდით აიხსნება, ბურჟუაზიის მხრით პროფესიონალურ კავშირებზე ისევ თავდასხმა გაჩაღდა, ინგლისის მუშათა კლასს მეოცე საუკუნის დასაწყისში თავის ბურჟუაზიასთან ბრძოლის საკითხი ისევ წინ დაუდგა; და ისიც ამ დროიდან ისევ იჩენს ინტერესს ინტერნაციონალისადმი. მის მიერ 1906 წელს შექმნილი მუშათა პარტია თუმცა სოციალისტური არაა, მაგრამ იგი მაინც ემხრობა ინტერნაციონალს. მაგრამ ამ ხანაში როგორც შინაურ პოლიტიკაში ვერ იჩენს ინგლისის პროლეტარიატი გაბედულებას, როგორც ის ამ მხრით ლოიდ-ჯორჯის სოციალ-ლიბერალიზმის გავლენის ქვეშ იმყოფება, სწორედ ასევე მას არ შეუძლია ჩადგეს მსოფლიო მასშტაბით რევოლიუციონურ რაზმთა რიგში. თვით ომის მოახლოებამდე, გადავაფასეთ რა მეორე ინტერნაციონალიონალის სიტყვები, ინგლისის მუშებს მაშინ შედარებით სხვებთან გამოჩენილ უცხოელებათ ვთვლიდით, მაგრამ მას შემდეგ კი, როცა აღმოჩნდა, რომ მეორე ინტერნაციონალი მსოფლიო ომის დროს საქმით რეფორმისტულ ორგანიზაციით გადაიქცა, ცხადი შეიქნა, რომ ინგლისის მუშები მხოლოთ ყველაზე უფრო გულახდილათ, სხვებზე უფრო აშკარათ აღიარებდენ მის ოპორტიუნისტულ ტენდენციებს, ბურჟუაზიასთან მორიგებისაკენ მის მისწრაფებას, მისწრაფებას დემონსტრაციებისაკენ და არა ბურჟუაზიასთან გადამჭრელ ბრძოლის გამართვისაკენ. ამიტომ, როცა მსოფლიო ომმა იფეთქა, ინგლისის პროლეტარიატის მასსა თავისი ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდა სწორედ ისე, როგორც დასავლეთ-ევროპის პროლეტარული მასსები.

ბურჟუაზია, რომელიც მაშინ მას ყოველნაირ სიკეთეს ჰირდებოდა, ახლა ისე უსწორდება, როგორც ეს მონათმფლობელს შეფერის. ახლა ის მას აყრის კისერზე გავლილი ომის მთელ ტვირთს, ის ახლა აუარესებს ყველაფრათ მის მდგომარეობას და ამით მას იძულებულს ხდის მიმართოს გადამჭრელ ბრძოლის მეთოდებს ახლა უფრო, ვიდრე ამას ის ოდესმე მიმართავდა ხოლმე.

ესაა თავდები იმისი, რომ ინტერნაციონალიზმი, რომელიც ახლა ინგლისის პროლეტარიატის ფართე მასსებს დაეტყო, ყოველ დღე იზრდება. ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი ახლა თითქმის ყოველდიურ ბრძოლას აწარმოებს თავის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც უკვე პირველ შეტაკებებშიაც არ ზოგავს ძალმომრეობის საშუალებას, როცა მუშები მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გაფიცვებს მიმართავენ ხოლმე. ინგლისის იმპერიალიზმის მხეცობა ინდოეთში და ეგვიპტეში გამოჩენილი, ფრენჩის სისხლიანი რეჟიმის მძვინვარება ირლანდიაში, სადაც მუშების თვალწინ მიტინგებს ხვრეტენ და ციხეებში ტუსაღნი შიმშილობას მართავენ, ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბანდიტური პოლიტიკის წარმოება,—ყველაფერი ეს ნათლათ უსურათებს ინგლისის მუშებს, თუ რა შეუძლია ჩაიდინოს და რის მქნელია ბურჟუაზია ძალაუფლების შესანარჩუნებლათ. ითვალისწინებს რა თავისივე ბურჟუაზიის მხეცობას, ხედავს რა, თუ როგორ ციინიკურათ უარყოფს იგი ყველა თავის დაპირებებს, ინგლისის მუშები ახლა სულ სხვა თვალით უცქერიან იმას, თუ როგორ იბრძვიან მუშები გერმანიაში და რუსეთში. მათ ახლა უკვე აღარ სწამთ ბურჟუაზიული პრესის მიერ გავრცელებული სიცრუე მუშათა რევოლიუციაზე, სწყურიათ გაიგონ, თუ როგორ იბრძვიან სხვაგან რევოლიუციონური პროლეტარები, რომ მათგან ისწავლონ, ინგლისის მუშებმა ბრძოლა გამოუცხადეს თავის ბურჟუაზიას საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, ისინი მხარს უჭერდენ რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს იმისდა მიუხედავათაც, რომ ძალიან ცოტა რამ იცოდენ სისწორით მისი გმირული ბრძოლის შესახებ. მათ წარმომადგენლები გამოგზავნეს რუსეთში მდგომარეობის შესასწავლათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე, რასაც ეს დელეგაცია ჩვენში ნახავს, მძიმე და სამწუხარო იქნება ეს, თუ გასახარი და საკეთილო, ყველაფერი იქეთკენ იქნება მიმართული, რომ რუსეთის და ინგლისის პროტეტარებს შორის კავშირი განმტკიცდეს; კიდევ მეტი: ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონური შეგნება გაღვივდეს. ჩვენ სულაც არ ვცდილობთ ინგლისის მუშათა დელეგაციას ჩვენი მდგომარეობის სიმძიმე და გაჭირვება დაუფაროთ, პირიქით ჩვენ ვფიქრობთ მას ნათლათ დავანახროთ ის ნარეკლიანი გზა, რომელზედაც ისინი უკვე შედგენ და საიდანაც უკან ვეღარ გაბრუნდებიან. ჩვენ დავანახვებთ მათ ყოველივე სასიხარულოს, აღმაფრთოვანებელს, რაც კი რამ არის რუსეთში დღეს, რომ მათ აქედან ძალა მოიკრიფონ და იცოდენ, თუ როგორ იბრძვიან პროლეტარები და რაოდენ ბუმბერაზიულ ძალებს იჩენს იგი, როცა მას გადაწყვეტილი აქვს მტერთან ბრძოლაში ან გაიმარჯვოს ან მოკვდეს.

ინგლისის მუშები ფიზიკურათ თუმცა დღეს ჩვენთან იმყოფებიან, მაგრამ პოლიტიკურათ ინნინ მხოლოდ ახლა იწყებენ ჩვენი გზისაკენ სვლას. ისინი დღეს რევოლიუციის ქვეყანაში არიან, მაგრამ მათი ქვეყანა მხოლოდ ახლა იწყებს აქეთკენ მსვლელობას. და ეს არის მიზეზი, რომ ამ ქვეყნის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არაა წევრი მესამე ინტერნაციონალისა, რომლის დროშის ქვეშ რუსეთის პროლეტარიატი დადგა, რომელსაც ჩვენ ამ რუსულ ნიადაგზე სამჭედლო აუგეთ. ისინი მას აქ, რუსეთში, როდი მიეკედლებიან, ისინი თავისივე ქვეყანაში აღმართავენ მის დროშას, როცა დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში, იციან რა ჩვენი გამოცდილება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აუტეხენ თავიანთ ბურჟუაზიას და მალე დარწმუნდებიან, რომ ინგლისის ბურჟუაზია არაფრით არაა უკეთესი რუსეთის ბურჟუაზიაზე, რომ მათაც მის დასამხობათ პროლეტარული დიქტატურის ხმლით ბრძოლა სჭირდებათ. იმის თავდები, რომ ისინი მესამე ინტერნაციონალთან უთუოთ მოვლენ, ისტორიის გარდუვალი და შეურყეველი მსვლელობაა, რომელმაც არ იცის იმის მაგალითი, რომ გაბატონებულმა კლასმა თავისი პოზიციები თავისივე ნებით უბრძოლველათ დატოვოს და მის შესანარჩუნებლათ თავგანწირული საბედისწერო ომი არ გამოაცხადოს.

დღეს რუსეთის პროლეტარიატი ინგლისის მუშათა წარმომადგენლების სახით სალამს მიუძღვნის მოკავშირეთა არმიის წარმომადგენლებს, რომლებიც მის საშუალებით ემზადებიან, ხვალ კი იგივე პროლეტარიატი მათი სახით მიესალმება პროლეტარული რევოლიუციის ერთ უძლიერეს საერთაშორისო არმიის რაზმს.

კარლ რადეკი.

პრესა

ქართველ ფედერალისტების ორგანო „სახ. საქმე“ განაგრძობს თავისას. მას არა სწამს საბჭოთა რუსეთის გამარჯვება, არა სწამს არც ის, რომ რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის ნაპერწკლები დასავლეთ ევროპის პროლეტარიატში არ გადასროლილა. დეე როგორც უნდათ, ისე იქციონ თავი ბ-მა ფედერალისტებმა. ჩვენთვის ეს საყურადღებო როდია. მაგრამ ჩვენ სასტიკათ შევებრძოლებით იმ პროვოკატორულ მოქმედებას, ორმელსაც ისინი ჩადიან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. „სახ. საქმე“ სწერს:

„ისეთი უბედურება მუსულმანობას ჯერ თავს არ დასტეხია, განჯაში რომ დაემართა. ასეთი გაუპატიურება, გაქელვა, შეურაცყოფა მუსულმანობას არც ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოსაგან არ უნახავს... მუსულმანი ქალების ახდილი ნამუსი და ბავშების სისხლი შეაძრწოლებს მთელ მაჰმადიანობასო“.... მთელი ნომერი გავსებულია ასეთი პროვაკატორული ინფორმაციით კონტრ-რევოლიუციონერთა სასიხარულოთ. კარგათ დაიმახსოვრონ ეს გარემოება ამ ვაკბატონებმა.

* * *

გუშინდელ „ბარბაში“ ბ. სანი შემდეგს სწერს:

„რამდენათაც კომუნინტები ფაქტიურად არსებობდენ საქართველოში მათ არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ ის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების ფუნქციები დიდიხანია დამფუძნებელი კრების ხელში გადავიდა.“

ბ. სანმა ამით სავსებით დაადასტურა ის, რაც ჩვენ ვსთქვით თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს შესახებ.

იმავე წერილში შემდეგს ვკითხულობთ:

— „შეუძლია „კომუნისტს“ იმის თქმა, ახლა რომ მოხდეს საბჭოს არჩევნები, ახალი საბჭოს შემადგენლობა პრინციპიალურათ იქნება წინააღმდეგი ჩვენი მართველი პარტიის მთელი პოლიტიკის?

დიახ, ამის თქმა ჩვენ შეგვიძლია; მაშ მოიწვიეთ მუშათა და გლეხთა საბჭოების დელეგატების ყრილობა ნორმალურ პირობებში, საბჭოთა კონსტიტუციის სრული დაცვით. და მაშინ ვნახოთ, გაამართლებენ ისინი თქვენ პოლიტიკას თუ არა:

რატომ გვინდა საგჭოები

II.

გუშინდელ წერილში ლაპარაკი გვქონდა იმაზე, რომ რუსეთის რევოლიუციამ საბჭოები წამოაყენა, მას სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ჩააბარა და პროლეტარიატის პარლამენტათ გამოაცხადა. მაშასადამე, საბჭოებს მუშათა კლასისათვის დიდი უპირატესობა ჰქონია. რა არის ეს უპირატესობა? პირველი ის, რაც წინა წერილში იყო, ის რომ საბჭოები საუკეთესო ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მისი კონსტრუქცია საშვალებას აძლევს პროლეტარიატს სოციალიზმისათვის-კომუნიზმისათვის იბრძოლოს.

საბჭოთა ძალა უფლებას შეუძლია იოლად დაასუსტოს და განაიარაღოს ბურჟუაზია.

რა აძლევს ამის საშუალებას საბჭოებს? ის, რომ მისი კონსტიტუციის ძალით, მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აქვს მხოლოდ იმას, ვინც არ ყვლეფს სხვის შრომას.

დღევანდელ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ხანაში, თუ არ არის ასეთი მუხლი საბჭოთა კონსტიტუციაში, და მას არ აქვს კანონმდებლობითი უფლება, ასეთი საბჭოები ფიქცია—მოტყუება იქნება. სახელში კი არაა საქმე, საქმე შინაარსშია. ხშირად საბჭოებიც კონტრ-რევოლიუციონურია. რუსეთის ბურჟუაზიამ, როცა დარწმუნდა, საბჭოებს ხალხი ვერ შორდებოდა, შემდეგი სთქვა: „კარგი, იყვეს საბჭოები, მხოლოდ მე ვიქნები შიგო“. მოდი და მიეცი არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმას, ვინც ვერ შერიგებია სოციალიზმისათვის ბრძოლას. ახლა რუსეთის ზოგიერთ ადგილებში იმისთვის კი არაა ბრძოლა, საბჭოები არ გვინდა და დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთო. არა, ამას ყველა შეურიგდა თითქმის, მხოლოდ ბურჟუაზია ნუა განდევნილი არჩევნებიდანო. მაშასადამე, საბჭოებში, როდესაც მხოლოდ ისინი ირჩევენ, ვინც სხვის შრომას არ ყვლეფს, ვის აირჩევენ? აი, სად იმარჯვებს დაჩაგრული დამჩაგვრელზე!

ასე, რომ მდიდრები, მემამულეები, სპეკულიანტები, ხუცები და სხვა არ ირჩევენ და აგრეთვე ვერ აირჩევიან. მხოლოდ მშრომელი ირჩევს, ეს მისი საბჭოა, მისი კლასის დიქტატურაა. ამიტომ ვინ გადიან საბჭოებში? ის, ვინც დრო მოკმული ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას სახოგადო საკუთრებათ გამოაცხადებს, სახალხო მეურნეობას განავითარებს, საყოველთაო შრომის ბეგარას შემოიღებს, ვინც სავსებით იარაღს აყრის ბურჟუაზიას. ვინც ჯანმრთელია და არ იმუშავებს, არაფერს მისცემს, პურს არ აჭმევს, ვინც იმუშავებს მას მისცემს, მას ჩააცმევს, მას დაახურავს.

ვინც, ბურჟუაზიულ კაპიტალისტური წარმოების მსხვერპლი გამხდარა, დაავთმყოფებულა, გამათხოვრებულა, მას სოციალურად უზრუნველყოფს—მოკლეთ, ამას სოციალიზმი—კომუნიზმი ქვია.

— საბჭოთა ძალა-უფლებას სოციალიზმის-კომუნიზმის განხორციელება შეძლებია, და მხოლოდ მას შესძლებია ბურჟუაზიის შემუსვრა, ამიტომაა რუსეთის საბჭ. სოც. რესპუბლიკაში მიწის ძირითადი კანონი რომ ამბობს; „ყოველივე საკუთრება მიწაზე, მიწის გულსა, წყლებსა, ტყეებსა და ბუნების ცოცხალ ძალებზე რ. ს. ფ. რ-კის საზღვრებში სამუდამოდ ისპობა და მიწა ამიერიდან სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასყიდლოთ მთელ მშრომელ ხალხის ხელში გადადის. და აგრეთვე ფაბრიკა ზავოდები, შენობები და სხვა. წარმოვიდგინოთ, რომ საბჭოებში ყოფილიყო მემამულეები, სოფლის ვაჭრეკანები და სხვა, მაშინ მიწის ძირითადი კანონი ამას იტყოდა: კერძო საკუთრება ხელუხლებელია, სოციალიზმისთვის ნიადაგი არაა, ჯერ განვითარება არაა და სხვა. გამოდის, რომ ბურჟუაზია შენ იმიტომ არ გაძლევს მისაკუთრებულ ქონებას, რომ შენ ჯერ განვითარებული არა ხარ! თვითონ განვითარებული! და როდესაც შენც განვითარდები, მაშინ მოგართმევს. ახლა ეს უშლის მხოლოდ ხელს!!!

საბჭოთა მთავრობა სხვათა შორის იგია, რაც მშრომელი ხალხი, და ხალხი მთავრობაა. მისი კონსტიტუცია და აპპარატები მას არ ყოფს. საბჭოთა მოხელეები ვერ იჩენენ „ჩინოვნიკობას". მათი საუთესო კონტროლი და მათი ჩვეულებრივ კაცებათ გადაქცევა—ეს მისი აპარატები მისი არჩევნებია. იმიტომაა, რომ საბჭოთა არჩევნებში მუშები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას, რადგან ეს მათი კლასიური ორგანო და მათი საქმეა. იმიტომაა ჩვენთვის ლოზუნგი: საბჭოთა რესპუბლიკით—კომუნიზმში. ამიტომ გვინდა ჩვენ საბჭოები.

თენგიზი.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ პარტიის ძველი წევრების რეგისტრაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 12 ივნისი. ყველა ის წევრები, ვინც ამ დროზე არ გამოცხადდებიან რეგისტრაციისთვის, ჩაირიცხებიან პარტიიდან გასულათ.

—

ძეოთხე რაიონის იაჩეიკების წარმომადგენელთა საყურადღებოთ: პარასკევს, ივნისს, საღამოს 7 საათზე რუსსოფის შენობაში დანიშნულია რაიონულ საბჭოს კრება. ვთხოვთ აღნიშნულ ამხანაგებს გამოცხადდენ თავის დროზე და დაიგვიანონ.

საგჯოლია რუსეთში

ბოსკოვის მ. გ. კ. და წითელ არმიების უწყებაში დასტამბულია ამხანაგ ოცკის პატარა წერილი „ქურდი ლშია!"

აბჭოთა მიწა-წყლის მოქალაქენო! ა კაცებო და მუშა ქალებო!

ვენს სახლში ქურდია! ის შემოიჭრა ა ოთახიდან ჩვენი საბჭოთა სახლის ობაში აგერ სულ რამოდენიმე თვის ად და ცდილობს წინ წავიდეს.

ელორუსეთი ტ ლიტვა იყვნენ საბჭორესპუბლიკები, ღვიძლი დაი ველიკოებისა და უკრაინის. მაგრამ პოლოს თეთრმა გვარდიამ ისარგებლა ი, რომ ჩვენი ყურადღება მიქცეული კოლჩაკისა და დენიკინისკენ. ამიმათ საშუალება მიეცა შემოჭრილვნენ ნორჩ რესპუბლიკებში, დაენათ საბჭოთა წესები და გამოეცხაათ მემამულეებისა და კაპიტალისის დიქტატურა. ახლა პოლონეთის ჯარობა უკრაინის მშვიდობიან საბჭოსახლში შეიჭრა. ვარშავის ბურჟუალი ავანტიურისტები, შავი საქმის ებელნი, ანტანტის მიერ დაქირავეი ლაქიები ჩაგრავდენ რუსის მუ და გლეხებს. დღესაც ასე უნდათ აინაში. ისინი მოწადინებულია დაუნონ გლეხების მიწები პოლონელ „პა" და ფრანგების ბირჟაზე ჰყიდონ ინელი გლეხის ტყავი. ეს ცოტაა, ი იმუქრებიან შემოიჭრან ველიკოაში და დაიპყრონ მიწა-წყალი ენსკამდის.

ქეზებულნი საერთაშორისო მცარების დახმარებით, უნდათ დაიმორონ რუსის მშრომელი ხალხი, როც საწველი ფური.

ბრამ ეს არ მოხდება! თქვენ, მშრომ რუსის ხალხო! პატიოსანო მოქანო! ჩვენს საბჭოთა შენობას ქურდი ვს! კომბალი აიღეთ! ქურდი გააგ ჩვენი საბჭოთა შენობა უნდა იუშრომელთა თავისუფალი საცხოვლი, წმიდა ტაძარი"!

ალისის დელეგაციის რადიო.

გლისის მუშათა დელეგაციამ, რომელიც ამას წინათ პეტროგრადს ესტუმრა, 14 მაისის თარიღით შემდეგი რადიო გაუგზავნა გაზეთ „დეილი ჰერალდს":

„ჩვენს პეტროგრადში მისვლას მოელოდენ მუშათა პროცესიები თავიანთი ორკესტრებით საღამოს 9 საათიდან. ილოდინეს შუაღამემდე, რისთვისაც მათ წინადადება ჰქონდათ მიცემული, რომ მათზე დაკისრებული სასურსათო საქმეებს ზიანი არ მისცემოდა, ტ ღ ალილიყვნენ, მაგრამ ეს მათ არ ისურვეს და ჩვენს შესახვედრათ ლოდინს განაგრძობდენ. თუმცა გვიან ჩავედით, მაგრამ წითელ-არმიელთა და რკინის გზელთა მრავალ-რიცხოვანი ჯგუფები მაინც დიდ ინტერესს იჩენდენ და აღფრთოვანებით გვესალმებოდენ. ჩვენ დანიშნულ ბინებისაკენ გავემგზავრეთ ავტომობილით და გზაში განსაკუთრებულმა დარაჯთა გუნდმა შეგვაჩერა, რომელმაც გულდასმით გადასინჯა ჩვენი დოკუმენტები და სათანადო გზა გვიჩვენა. ეს აუცილებელი იყო, რადგან ასე დაგვიანებით ავტომობილით მგზავრობა, გარდა მთავრობის პირთა, აღკრძალულია. ყოველივე და ყველაფერი აქ კომუნისტური ატმოსფერით არის გარემოცული. ჩვენ ეს არის ახლა ვიყავით პეტროგრადელ პროფესიონალურ კავშირების მთავარ ბინაზე. აქაც მისალმებით შეგვხვდენ პროფ. კავშირების წარმომადგენლები. დარბაზის კედლები შემკული იყო რევოლუციური და სოციალისტური ლოზუნგებით ინგლისურ ენაზე, აგრეთვე საუცხოვო სურათებით, ყველაფერი ძმობის, კეთილ სურვილების და ამხანაგური სოლიდარობის სულით იყო გაუჟღენთილი. მეხსიერებიდან წაუშლელი დარჩება სამუდამოთ წითელარმიელის სურათი, განსაკუთრებით ბაშკირისა, რომელიც ურალის მთებში აურჩევიათ წარმომადგენლათ და რომელიც საუცხოვო, ნახევრათ აღმოსავლეთურ ფორმაში იყო გამოწყობილი. რუსეთის პროფ. კავშირების ცენტრალური საბჭოს წევრი, ლოზოვსკი, მხურვალეთ მოგვესალმა და ფრანგულ ენაზე სხვათაშორის შემდეგი გვითხრა: „ჩვენ საკმაოთ ვიხილეთ ინგლისის ტანკები," ინგლისური ყუმბარები და ზარბაზნები. ახლა კი დიდათ მოხარული ვართ ბრიტანეთის დიად მუშათა მოძრაობის წარმომადგენლები, რომ პირველათ ვიხილეთ." ასეთია საერთო სურათი, რასაც დღეს აქაურობა წარმოადგენს.

რობერტ ვილიამსი, კლიფფოდი ალლენი" („სლ.")

საზღვარ გარეთ

იტალიის სოციალისტური პარტია მოუწოდებს დაამხონ კაპიტალისტური მთავრობა.

გაზ. „აგანტში" მოთავსებულია იტალიის სოციალისტების შემდეგი განცხადება: იტალიის სოციალისტების ცენტრალური კომიტეტი სცნობს, რომ იტალიაში გრძელდება ძალდატანება და მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. ამ მდგომარეობას აუცილებლად რევოლიუციამდი მივყავართ. ამიტომ ცენტრ. კომ. სცნობს საჭიროთ, რომ პროლეტარიატი მოემზადოს ორგანიზაციულ გამოსვლებისათვის, თავისუფლების დასაცველად ტ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ რეაქციონური მთავრობის გასანადგურებლად.

ახალი ამბები

— ცხინვალის მიმართულებით 8 ივნისს მტერმა ისარგებლა რა თავისი მრავალრიცხოვნობით, შემოუარა ორივე ჩვენ ფლანგს, რის შემდეგაც ჩვენი ნაწილები იძულებული იყვნენ დაეტოვებიათ ცხინვალი.

— საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა (ინტერნაციონალური) პარტია ჩვენ გვთხოვს, მის პარტიის წევრების საყურადღებოთ მივცეთ ალაგი ჩვენ გაზეთში შემდეგს: სცნო რა რუსეთის სოციალ-ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის ორგანიზაციებმა, მიიღეს რა მხედველობაში ზემოხსენებული ფაქტი, დაადგინეს: მიემხრონ რუსეთის საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას და შეუდგენ საქართველოს მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის დაარსებას; პარტიულ ყრილობის მოწვევამდე, ცენტრალურ ბიუროს ფუნქციები გადაეცეს თბილისის კომიტეტს; თბილისში მყოფ ოთხი კაცისაგან თვითნებითად შემდგარი ჯგუფი, რომელიც უკანონოთ ითვისებდა დროებით ორგანიზაციულ საოლქო კომიტეტის სახელწოდებას და რომელიც საქართველოს მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერთა ცენტრალურ ბიუროს დაარსების შემდეგაც კი არ დასთანხმდა უარი ეთქვა ზემოხსენებულ სახელწოდებაზე, ითვლება გადაყენებულათ. საქართველოს საზღვრებში არსებულმა ორგანიზაციებმა, პარტიულ საქმეებისთვის უნდა მიმართონ ცენტრალურ ბიუროს თბილისში. ცენტრალური ბიურო, აცნობებს რა ზემოხსენებულს საქართველოში არსებულ ორგანიზაციებს, მოუწოდებს ამხანაგებს გააძლიერონ ადგილობრივათ მუშაობა, აღადგინონ დანგრეული „იაჩეიკები", რათა ც. ბ. საშუალება ექნეს, უახლოეს ვადაში მოიწვიოს პარტიული ყრილობა.

საქ. მემარც. სოც.-რევოლ. პარტიის ცენტრალური ბიურო.

— შაბათს 12 ივნისს საღამის ექვს საათზე რუსულ ნაციონალურ საბჭოს შენობაში დანიშნულია მეორე რაიონის პარტიის წევრებისათვის რუსულ ენაზე უფასო ლექცია თანამედროვე მომენტზე.

— როგორც შევიტყვეთ, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი კიროვი 4 ივნისს გამოსულა მოსკოვიდან და ამ დღეებში ჩამოვა თფილისში.

— **მატარებლები ერევანში.** ვინაიდან ტფილისსა და ერევანს შორის არ არსებობს რეგულიარული მიმოსვლა სამგზავრო მატარებლებისა, ექსპლოატაციის გამგეობამ განკარგულება გასცა, რომ განსაკუთრებულ განკარგულების გამოსვლამდე არ გაყიდონ ბილეთები სადახლოს სადგურის იქით.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, ივნ. 6. ც. კ. ა. კ.

ყირიმის ფრონტზე მოპირდაპირე შეტევაზე გადმოვიდა. გენერალი ვრანგელი უკვე გამოვიდა პოლონეთის თეთრგვარდიელთა დასახმარებლად. ჩვენ მტერი უკუვაგდეთ. ეს შეტევა რევოლიუციის ყველა მონაპოვართ საფრთხეს უქადის.

სამხედრო ცნობა 8 ივნისიდან. პოლოცკის სამხრეთ-დასავლეთით სასტიკი ომების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს და ახალი პოზიციები დაიჭირეს. მოპირდაპირესთან ბრძოლა, რომელიც დიდი ძალებით გვიტევს, გრძელდება. ჩვენ მოვიგერიეთ მოპირდაპირის შემოტევა, გეორგიევის მიმართულებით დაბა ბერეზინის სამხრეთ-დასავლეთით ჟლობინ მიზირის მიმართულებით მოვიგერიეთ პოლონეთის ნაწილების შემოტევა. კიევის რაიონში, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, კიევიდან ჩრდილოეთით 65 ვერსზე, ჩვენი შეტევა ჩვენთვის სასურველად ვითარდება. კანევის რაიონში ჩვენმა შემტევმა ნაწილებმა ფლოტილიის დახმარებით დაბა რჟიცევი დაიკავეს. ტარაშჩის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. დავიკავეთ რიგი სოფლებისა ქალაქ ტარაშჩის 20—30 ჩრდილოეთით. ყირიმის რაიონებში არტილერიით მომზადების შემდეგ მოპირდაპირე მთელ ფრონტზე შეტევაზე გადმოვიდა. მტერი სარგებლობს ტანკებით, ჯავშნიან ავტომობილებით და მატარებლებით. პერეკოპთან ჩვენი შევიწროებული ნაწილები გადავიდა კონტრ შეტევაზე და დაიბრუნეს დაკარგულ პოზიციების დიდი ნაწილი.

5 ივნისს ღამით რეშტში შესდგა სპარსეთის დროებითი მთავრობა, რომლის სათავეში სდგას რევოლიუციონერი მირზა ქუჩუკი. დროებითი მთავრობის ყველა წევრი ძველი თანამშრომელია მირზა-ქუჩუკის და მონაწილეა სპარსეთის რევოლიუციისა. რეშტის მცხოვრებნი ამ გადატრიალებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ. ინგლისელები საჩქაროდ ბაღდადისაკენ უკან იხევენ. რეშტი მათ უბრძოლველად დასტოვეს. ინდუსი ჯარები რევოლიუციონერებთან ბრძოლის წინააღმდეგი არიან, ინდუსების მნიშვნელოვანი ნაწილი მირზა ქუჩუკის მხარეზე გადავიდა.

მისკენვე გადავიდა სპარსელ-ყაზახების დივიზია. მირზა ქუჩუკმა გადატრიალების შესახებ ცნობა ამხანაგ ლენინს გაუგზავნა. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს აცნობა, რომ იტალიის მთავრობას პოლონეთში ჰაეროპლანები არ გაეგზავნათ. მხოლოდ რამდენიმე შეიარაღებული ჰაეროპლანი გაუგზავნა იტალიის ფირმამ საჯარო ფირმით პოლონურ ფირმას. იტალიის მთავრობამ დაადასტურა, რომ იგი სასტიკ ნეიტრალობას იცავს პოლონეთისა და საბჭოთა რუსეთის ომში. პოლონეთის ფრონტიდან გამოქცეული წითელ არმიელნი იტყობინებიან: პოლონეთის ჯარს აცვია საფრანგეთისა და ინგლისის მიერ გამოგზავნილი ტანისამოსი, დისციპლინას ჯოხით ამყარებენ. ოფიცრები უმთავრესად პოლონელებია, მფრინავები-ფრანგებია. ტრიესტში დააკავეს რამდენიმე ვაგონი ასაფეთქებელი მასალა, რომელსაც პოლონეთში აგზავნიდენ. ნორვეგიის პარლამენტმა მიიღო წინადადება საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.—ჩინეთის პროფ. კავშირმა გამოგზავნა დეპეშა, რომლითაც მიესალმება რუსეთის წითელ არმიას.

საბჭოთა მთავრობამ ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების პრეზიდენტ მუსტაფა ქემალისაგან მიიღო, დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია სურვილი უცხო იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა.

საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი თავის პასუხში კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეროვნულ ყრილობის პროგრამა სავსებით ეთანხმება საბჭოთა მთავრობის მიზნებს და რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მეგობრულ დამოკიდებულებათა დასამყარებლად მზად არის დაუყოვნებლივ მოაწყოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა. საბჭოთა მთავრობა, რომელიც არ ღალატობს ყველა ერის თვით-გამორკვევის უფლების პრინციპს, მეგობრულ ხელს უწვდის ყველა დაჩაგრულ ერს. იგი ყურადღებას ადევნებს ოსმალეთის ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის და მუშა-გლეხების რესპუბლიკის სახელით ამ ბრძოლაში მას გამარჯვებას უსურვებს.

დ. ც. ა. კ. დაადგინა სოციალურ განთავისუფლებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად მოაწყოს კორელიაში—ოლონეცის და არხანგელსკის დასახლებულ გუბერნიებში კორელიის მშრომელთა კომუნა.

კორელიის მშრომელთა კომუნა. კორელიის კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედიან ედუარდ ბიულენგი, იაკობ მიაკკი და ვასილი კუჭიევი დავალებული აქვს საჩქაროდ შეუდგეს მზადებას ყრილობის მოსაწვევად და აგრეთვე მშრომელთა კომუნის საბჭოთა ყრილობის მოწვევას. სრულიად რუსეთის ხელოვანთა საზოგადოების ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ხელოვნების მოსამსახურენი აღიარებენ, რომ კვლავ დადგა მომენტი, როდესაც იმათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით უნდა დაუმტკიცონ მუშათა და გლეხთა მთავრობის მტრებს, რომ ისინი არიან მუშათა ერთი პროლეტ. ოჯახის წევრნი და რომ ისინი მუშებთან და გლეხებთან ერთად ებრძვიან პოლონეთის პანურ თეთრგვარდიელებს. ყრილობამ გამოაცხადა მობილიზაცია თავის წევრთა საკმაო რიცხვისა ფრონტსა და ზურგს უკან აქტიურ კულტურულ განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად.

მისალმების დეპეშები.

სალამი „კომუნისტს"! შევიტყეთ რა მენშევიკების გაზეთებიდან, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას დაუარსებია თავისი ორგანო „კომუნისტი;" ჩვენ, მობილიზაციით გაწვეული, ფრონტზე მყოფი ჯარის კაცთა და სანიტრების ერთი ჯგუფი, აღფრთოვანებით ვეგებებით „კომუნისტის" გამოსვლას, როგორც გაზაფხულის მახარობელ პირველ მერცხალს, უძღვნით სალამს და ვიმედოვნებთ, რომ ის გაამართლებს ქართველ მუშების მოწინავე ნაწილის დიდი ხნის ნატვრას და გადაიქცევა მათთვის ჩვენი ცხოვრების ეკლნარ გზის ნამდვილ „მაშუქებელ ვარსკვლავათ".

მუშათა წერილები

ჩემი სამშობლო.

გაზ. „სახალხო საქმეში" ვინმე „მახლობელმა" ნახევარი ფელეტონი უძღვნა ჩემს წერილს, რომელიც „კომუნისტის" პირველ ნომერში იყო მოთავსებული „რათა ვარ მე კომუნისტის" სათაურით.

ფელეტონის ავტორი ირონიით შენიშნავს, რომ „კომუნისტურ მანიფესტით" გაფანატიკოსებულს, მე „მჭიდროთ ჩამინერგავს გონებაში მანიფესტის სიტყვები—„პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო" და თავს ველარ ვართმევ, თითქოს, თანამედროვე ეროვნულ პრობლემას".

ვინაიდან ფელეტონის ავტორი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ეროვნული პრობლემით, ამიტომ მე ვეცდები განუმარტო მას, თუ როგორ მესმის მე „კომუნისტური მანიფესტის" სიტყვები—„პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო" და როგორ უნდა ესმოდეს ყველა მუშას, მათ შორის „სახალხოელსაც", უკეთუ მოისურვებს ის კარგი მთქმელის კარგი გამგონე იყოს!

ჩემის აზრით, მარქსსა და ენგელსს ამ სიტყვებით არ სურდათ იმის თქმა, თითქო პროლეტარიატი ზეციდან იყოს ზღაპრული წეროს ნისკარტით ჩამოტანილი, არსად ამ ქვეყნათ არ დაბადებულიყოს და ამიტომ არ ქონდეს მას სამშობლო. სრულიად არა!

იმათ ამ სიტყვებით იმის თქმა სურდათ, რომ პროლეტარიატის სამშობლოს დაპატრონებიან გაბატონებული კლასები და მისთვის ეს სამშობლო ჯოჯოხეთად არის გადაქცეული, რომ ამიტომ პროლეტარიატმა ეს სამშობლო უნდა მოიპოვოს ბრძოლით და ამ გაბატონებულ კლასების დამხობით.

ეს აზრი იმდენათ მკაფიოდ და მარტივათ არის გატარებული მანიფესტში, რომ თუ ვინმეს რაიმეს გაგების ნიჭი აქვს უნდა გაიგოს!

შემდეგ ავტორი ბრძანებს, რომ მას შემდეგ,—ე. ი. მანიფესტის დაწერის შემდეგ,—ბევრი რამ გამოიცვალაო.

შეიძლება ბევრი რამ გამოიცვალა, და მათ შორის თვით „მახლობელის" წინანდელი აზროვნებაც, მაგრამ საკითხი პროლეტარიატის სამშობლოს ქონების შესახებ იგივე დარჩა ყოველგან, გარდა რუსეთისა. აქ კი მართლაც შეიცვალა ეს საკითხი. აქ პროლეტარიატმა უკვე მოიპოვა თავისი სამშობლო და ამიტომაც არის, რომ ასეთი თავგანწირული გმირობით იცავს იმას ის მთელი ქვეყნის გაბატონებული კლასების თავდასხმისაგან. რუსეთის პროლეტარიატს და მშრომელ ხალხს უყვარს თ ა ვ ი ს ი სამშობლო და იმის დაცვაში ითმენს ის ათასგვარ ნაკლულევანებას — შიმშილს, სიცივეს და ავათმყოფობას. ძრიელია მისი სიყვარული თ ა ვ ი ს ი სამშობლოს მიმართ.

და მეც, ქართველ კომუნისტს, მიყვარს ჩემი მომავალი სამშობლო, რომელიც ჩ ე მ ი იქნება საქმით, და არა სიტყვით მარტო.

თუ ვის ეკუთვნის დღეს ჩვენი სამშობლო, ამაზე ლაპარაკი აქ ზედმეტათ მიმაჩნია, რადგან ყველა თვალხილული უნდა ხედავდეს ამას, თუ არ სურს ძალათ თავის დაბრმავება.

ამაზე ცხადათ ღაღადებს ჩვენი მშრომელი ხალხის დღევანდელი უმწეო მდგომარეობა და გაბატონებული კლასების საარაკო ფუფუნებაში განცხრომა. ამიტომ ნურას უკაცრავათ „სახალხოელ" მახლობელთან თუ ვერ შევიყვარო სპეკულიანტების სამშობლო!

მე მიყვარს ჩ ე მ ი სამშობლო, მის მოსაპოებლათ ვიბრძვი და აქეთკენ მოუწოდებ ყველა მშრომელ ხალხს!

ს. თ—ია.

რევოლიუციის ისტორიიდან.

მოხდა რევოლიუცია, განთავისუფლდა რუსეთის ერი. ყველა პოლიტიკურად

გაზეთ „კომუნისტის" ფონდი

მიღებულია ქალაქთა კავშირის სტამბის მუშებისაგან 2830 მან.

—

გულწრფელათ ვეგებები გაზ. „კომუნისტის" დაარსებას და გიგზავნით ჩემდამი გაღებულ წვლილს 300 მანეთს და მოუწოდებ ყველა შეგნებულ მუშებს არ დაიშურონ თავიანთი წვლილი მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთისთვის.

ას.-ამწ **იოსებ მ. სადრაძე.**

—

ტომას დეევადოვმ 12 მან.

—

დავით გვიდავასაგან 100 მან. გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნილებმა, ციხე-კატორღაში დამწყვდეულებმა თუ სხვა სახელმწიფოებში გადახვეწილებმა, ხალხის საუკეთესო შვილებმა, მოიყარეს თავი ძველ რეჟიმის ნანგრევებზე.

გაჩაღდა ბრძოლა ძალა-უფლებისთვის, და პირველ ხანებში სახელმწიფოს სათავეში მოექცენ ძველი მთავრობის ახლობელნი, ბურჟუაზიის წარმომადგენელნი.

მათ გვერდში ამოუდგენ წვრილ-ბურჟუაზიული ჯგუფები კერენსკები, წერეთლები თუ სხვები, რომლებიც შეთანხმების პოლიტიკას აწარმოებდენ და ერთხმად სდევნიდენ იმ მათთვის საშიშარ პოლიტიკურ წრეს, რომელიც ყველას წინააღმდეგ ირაზმებოდა და ჯერ კიდევ ახლად განთავისუფლებული ის იყო წელში იმართებოდა. მაგრამ მიუხედავად მათი განუწყვეტელ მოქმედებისა იმ მხრივ, რომ, სრულიად მოესპოთ ხსენებული საერთო მტერი და თავზედ მოეხვიათ რუსეთის პროლეტარიატისათვის თავისი ორჭოფი პოლიტიკა, იმათ მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლეს და საცოდავად დაიფერფლენ.

რუსეთის პროლეტარიატმა ბრძოლაში გაკაჟებულ ძლიერ მკვლავებით დაამხო თავისი მტერი, უდაბნოთ აქცია მათი ბატონობის ფანტაზია და ძლევა მოსილმა ამართა ის უმწიკვლო წითელი სისხლით შეღებული ძლიერი დროშა გამარჯვებისა, რომელსაც დღემდი თამამად და გმირულად აფრიალებენ თავისუფალ ბორკილ აყრილ დიდ რუსეთის სივრცეში!.. — და მით ყველას დაუმტკიცა თუ რა შესძლებია ერთსულოვნებით აღფრთოვანებულ, თავისუფლების მოყვარულ მშრომელთა ძალას...

ახალმა გადატრიალებამ გაფანტა უდღეურ სოციალისტების ხროვა და მათში ვინც სხვა ნაციებს ეკუთვნოდენ, მიაშურეს თავიანთ ქვეყანას; თვითონ რუსეთის მკვიდრნი კი, ზოგი სხვა სახელმწიფოში გაიქცა; რუსეთში დარჩენილებმა კი ყოველივე ნდობა დაჰკარგეს ხალხში და დღეს უპატრონო ცხვრებივით დაეხეტებიან მათგან მოწყვეტილ ქვეყანაში. მათი აღარავის სჯერა და ისინი უკვე ჩაბარდენ ისტორიას. დანარჩენ ნაციების ხსენებულმა სოციალისტებმა, რომლებიც საჩქაროთ შეეფარნენ თავიანთ ქვეყნის მშრომელთა მასას, შესძლეს მასის დაბრმავება. ეს ვაჟბატონები გუშინ „ცენტრალისტობდენ“ და მუდამ მთლიანობაზე ლაპარაკობდენ, ახლა კი მათ ის ნაციონალისტ-შოვინისტები, რომელთაც ბელადებს ძველ რეჟიმის დროს საფლავშიაც კი არ აყენებდნენ, დღეს უახლოეს მეგობრებათ გაიხადეს, რომ საერთო ძალით უკეთ შესძლებოდათ მშრომელთა კლასის თვალზე ხელის აფარება, რომ დაბრმავებულს თვალით ვეღარ ეხილა ის გმირული პროლეტარიატების და გლეხების ავანგარდი, რომლებიც სულ მოკლე ხანში მასაც გაუწვდიდა ძმურ ხელს.

პროვინციელი ამხანაგების საყურადღებოდ!

კანტორა სთხოვს: იმ ამხანაგებს, რომლებიც ღებულობენ გაზეთ „კომუნისტს“ გასაგრძელებლათ — სვედრი ფული გამოგვიგზავნონ თანდათანობით.

დღიდან რუსეთიდან ჩამოშორებისა საქართველოს ხალხში დაიწყეს ხეტიალი „პროპაგანდისტებმა“, რომლებიც ყოველივე ზომას ხმარობდენ, რამენაირათ ხალხისათვის შეესმევინებინათ ის მწარე ფიალა, რომლითაც მოწამლულნი და უსულ უგულონი სავსებით დამორჩილდებოდენ მათ.

ვინ იცის, ისინი რას არ ჩასჩიჩინებდნენ ხალხს და რა სიტყვებით არ იხსენიებდენ კომუნისტების ლიდერებს და ხშირათ რუსეთის ხალხსაც... აი, მაგალითად, მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს: ეს „უიხტიბრონი“ გაიძახოდნენ, როგორც პრესაში ისე პროპაგანდის დროსა: „ლენინი ჩუმად ვაგონში დაპლომბვილი გერმანიიდან გამოაგზავნა ვილგელმა, რომ რუსეთის ხალხი აეჯანყებინა, დროებით მთავრობა ჩამოეგდო და მით გერმანიის იმპერიალისტები უზრუნველ ეყო რუსეთის სრულიად დაპყრობაში, რაიც სულ რამდენიმე კვირის შემდეგ კიდეც მოხდებაო“-ო და სხვა. ამ სიტყვებს ისინი თამამად და რიხიანათ გაჰკიოდენ ხალხში.

და მართლაც იმოქმედა დემაგოგიამ. რევოლიუციის მოელვარე ტალღებში შეცურებული ქვეყანა მათ მოადუნეს, და მღელვარე რევოლიუციას შეუკვეცეს ფრთები, მოსწყვიტეს იგი თავის საყვარელ ძუძუს და სამაგიეროდ პირში ხმელი ჩალა მისცეს.

საქართველოში პირველად რუსეთთან ჩამოშორების დროს, ძლიერ ნაკლებათ იცნობდენ კომუნისტთა პარტიას და თვალის დახამხამებაში მას არ შეეძლო შეეკავშირებია მშრომელი მასსა, რომ აქ გამეფებულ ნაციონალისტური ვაკხანალიისათვის ძლიერი ძალა დაენახვებინათ ⁄ საერთო ძალით თავი დაებწიათ საშინელებისათვის და მათ ბრჭყალებში არ მომწყვდეულიყვეს.

არ გასულა დიდი დრო, სრულიად აიკრძალა კომუნისტებისათვის სიტყვის უფლებაც და მათი აზრების მატარებლები კი ციხეებში ჩაამწყვდიეს, სადაც ბევრი საუკეთესო ამხანაგები სიცოცხლეს გამოასალმენ.

გავიდა ორი წელი, საქართველოს მშრომელმა საზოგადოებამ უკვე იგრძნო სულის სიმძიმე და მძიმედ ამოისუნთქა. ეხლა უკვე მაგარი რკალი აკავებდა მის ნებას სურვილებს და არც ჰქონდა საშუალება გაეგო ამის მიზეზი.

დაირეკა შვების ზარები, გაიმარჯვა ყველა ფრონტებზე რუსეთის საბჭოთა ჯარებმა. მენშევიკების მთავრობა იძულებული შეიქნა საჩქაროთ ეფრინა კაცი საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან, რომელსაც აქნობამდის შორიდან ლანძღვა-გინებით ამკობდენ.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც წინააღმდეგია უბრალო სისხლის ღვრისა, აღუთქვა „საქართველოსაკენ საბჭოთა ჯარები შესწყვეტს სამხედრო მოქმედებასო“. ასედაც მოიქცა, და ამის შემდეგ შეადგინეს შეთანხმების პირობა, რომელშიაც სხვათა შორის არის მოყვანილი, რომ საქართველოს კომუნისტები განთავისუფლდენ ყოველგვარი დევნისაგან, რაზედაც მენშევიკები იძულებული გახდენ დასთანხმებოდენ; ამის წყალობით განთავისუფლდა ციხეებში მომწყვდეული ამხანაგები და დღეს საშუალება გვეძლევა ორგანიზაციების მოწყობისა და პარტიულ მუშაობისა, რაიც დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთის კომუნისტებისა.

დროა გამოიღვიძოს საქართველოს მშრომელმა კლასმა და გაეშუროს იქ, ორგანიზაციაში იდეური ბრძოლის საწარმოებლად, სადაც მწარე ფიალიდან მოწამლულ გულს მალამოს სცხებენ, რაიც სამუდამოდ განკურნავს სნეულს... დროა, დავინახოთ, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე, თუმცა ამას დიდი გარჩევა აღარ სჭირდება, და გაუწიოს დახმარება თავის ამაგდარ კომუნისტურ პარტიას.

ი. ლისაშვილი.

«წესიერების» დამცველნი.

ბათუმიდან მომავალ საღამოს სახალხოს მატარებელში ამაღლების პლათფორმასა და საჯევახოს შუა ჩვენ ვიხილეთ შემდეგი სურათი:

ფეხზე მდგომ მგზავრებს მხეცივით მოარღვევს ღვინით გალეშილი მატარებლის რევიზორი, რომელსაც უკან მცველი მოსდევს. ეს უეანასკნელიც მთვიალია. ბ-ნი რევიზორი სრულიათ უმიზეზოთ, უბრალოთ უყვირის მგზავრებს და ბილეთებს სთხოვს. მობარბაცდენ ჩვენამდისაც. ჩვენ რამდენიმე კაცი ვიყავით, რომლებმაც ამაღლების პლათფორმაზე შემოუჯექით მატარებელს. ამ პლათფორმაზე ბილეთებს არ ყიდიან და მაშასადამე ჩვენთვის მატარებელში უნდა ეყიდათ კონტრამარკები. მაგრამ ამან გვიხსნა: ჩვენს გვერდზე მდგომი ერთი ახალგაზრდა მაგრათ მიანჯღრიეს და მიბეგვეს კიდეც. მერდენ ერთ მოხუც გორის სადგურკინის გზის მუშას, რომელიც გორიდან მოდიოდა და დაუწყეს უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება. მოვიდენ ჩვენთან. უზრდელის კილოთი მოგვთხოვნა ბილეთი, და როცა აუხსენით საქმე, გარეგმოება, თუ რისთვის არა გაგაბილეთი თქო, გვერდზე გადაგვიყვანეს და ჩვენი თავი მცველს ჩაბარა კანტორაში წარსადგენათ.

ყველა ამაების შემდეგ არ გასულა რამდენიმე წუთი, ყველა ჩვენგანთან მიდის კონდუქტორი, გვაძლევს კონტრამარკებს სად. საჯევახომდის და ფულისა რა თქმა, უნდა გვახდევინებს.

მაშ რაღა საჭირო იყო იმდენი შეცყოფა?

ერთი მგზავრთაგანი.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ამაღლება (გურია.)

ადგილობრივი კომუნისტების მეოთხე ჯგუფმა ამას წინათ პირველათ ყარა აქ თავი სათათბიროთ ზემო ამაღლების შკოლის დარბაზში.

თათბირის შემდეგ სამკითხველოს ნობის წინ გამოკრულ იქნა პატარა ცხადება, რომლითაც მსურველებს წოდებდენ კომუნისტურ პარტიაში საწერათ.

სოფლის ჩარჩ-ვაჭრუკებსა და წინ ბობოლებს ძლიერ შეშურდათ ჩვენი ნათლეზე გამოსვლა და ცხვირ დაბულნი შემოგვცქერიან. მთელ გურ უკვე დაიწყო გამალებული მუშ პარტიულ ორგანიზაციების აღსადგ

კომუნისტური ინტერნაციონალის წარმოშობა.

(დასასრული)

1916 წლის თებერვალში შეიკრიბა გაფართოებული ინტერნაციონალური კომისია. თუმცა მისი პარტიული შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორც ციმერვალდში, მაინც კომისიის სულიერი განწყობილება გაცილებით უფრო რადიკალური აღმოჩნდა, რამაც პოვა თავისი გამოხატულება მის მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში, სადაც წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ უარყოფილ იქნას სამხედრო კრედიტები, **მიუხედავათ ამა თუ იმ ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობისა**, აგრეთვე ყოველი ნებაყოფლობითი მონაწილეობა მუშებისა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ქვეყნის დაცვას ემსახურებიან; წამოყენებულია მოთხოვნილება ბურჟუაზიულ სამინისტროებიდან გამოსვლისა, შინაურ ზავთან შეგნებულათ კავშირის გაწყვეტისა პარლამენტში მყოფ წარმომადგენლების მხრით, და საბოლოოთ, მასის აშკარა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას გაბატონებულ კლასების და მათი მთავრობების წინააღმდეგ. კომისიის ამავე სესიაზე გადაწყდა მოწვეულიყო ციმერვალდის მეორე კონფერენცია ამ ხელათ ჰოლანდიაში. ეს ადგილი განგებ იმ მიზნით იყო დანიშნული, რომ მთავრობის ყურადღება სხვა მხრით წაეტყუებია და მართლაც კონფერენციის მოწვევის თადარიგი მშვიდობიანათ სწარმოებდა და კიდეც შეიკრიბა იგი 1916 წ. 24 აპრილს პატარა სოფელ კინტალში (ბერნის ახლო). ამ ხერხმა მიზანს მიაღწია და მხოლოთ ზოგიერთი დელეგატი ვერ მოყვა კონფერენციაზე. მისი შემადგენლობა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ციმერვალდში. მხოლოთ ციმერვალდის კონფერენციის შემდეგ განვლილ დროს საერთო-პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უფრო ხელშემწყობი შეიქნა ომის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ და კონფერენციის მემარცხენე ჯგუფმა მოახერხა უფრო მკვიდრი პოზიციის დაკავება. მაინც ციმერვალდებმა იმის მეტი ვერაფერი შესძლეს, რომ წამოაყენეს მოთხოვნილება „სამართლიანი ზავისა“ და შეიმუშავეს გულმოსული რეზოლიუციები წინააღმდეგ სოციალ-პატრიოტული საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსი, რომელთან კავშირის გაწყვეტა მათ არ უნდოდათ, რადგან იმედი ქონდათ, რომ უფრო ხელშემწყობ პირობებში მათ შეურიგდებოდენ. კინტალის კონფერენციამ გამოუშვა მანიფესტი, რომლის შინაარსი და ლოზუნგები ძალიან ცოტათ განირჩევიან ციმერვალდის პირველ კონფერენციის მიმართვიდან და კომისიის მოწოდებიდან.

ნამდვილმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ წინ გაასწრო მუშათა კლასის გაუბედავ და მერყევ ხელმძღვანელებს. რუსეთში იფეთქა მარტის რევოლიუციამ და სრულიათ შეიცვალა კითხვების ისეთი დაყენება, როგორც ეს ციმერვალდმა წამოაყენა. ნაცვლათ „პარლამენტის წარმომადგენლებზე გავლენის მოხდენისა“ ან „კრედიტების უარყოფისა“ რასაც კინტალის მანიფესტი მოითხოვდა, მორიგ საკითხათ დადგა ომის შეწყვეტა თვით რუსეთის რევოლიუციონური მასის ნებით. სოციალისტური პარტიების მოღალატეობა მთავრობებთან საბრალო ლუღლუღს წარმოადგენდა მას შემდეგ, რაც რუსეთში, როგორც ეტყობოდა, თვით პროლეტარიატს და მრავალ მილიონიან ჯარს ხელთ ეპყრა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. დასავლეთ ევროპის ოდნავ პატიოსანი სოციალისტების წინ, რომლებიც საბოლოოთ არ იყვნენ ჩაფლული სოციალ-პატრიოტიზმის ჭაობში, იდგა ერთათ ერთი რეალური საკითხი, სახელდობრ საკითხი რუსეთის პრაქტიკის თავის ნიადაგზე გადატანისა.

ამ პირობებში შეიკრიბა მესამე ციმერვალდის კონფერენცია, რომელმაც საუმჯობესოთ დაინახა თავის თავისთვის თათბირი ეწოდებინა; ეს მოხდა 1917 წ. აგვისტოში სტოკჰოლმში. ეს იყო „ივლისის დღეების“ შემდეგ, როდესაც გახურებული ბრძოლა იყო მენშევიკებსა და ბალშევიკებს შორის; ერთი მხრით იდგენ მენშევიკები, რომლებიც კერენსკისთან ერთათ მთავრობაში ისხდენ ⁄ ხვრეტდენ მუშებს და სალდათებს, რადგანაც მათ სცადეს დაემხოთ კვლავ ფეხზე დამდგარი ბურჟუაზიის ძალა-უფლება; მეორე მხრით იდგენ ბალშევიკები, რომელთა მეთაურები ციხეებში ისხდენ ან არა-ლეგალურ მდგომარეობაზე იყვნენ გადასული. ამ ბრძოლამ ციმერვალდის თათბირშიაც ჰპოვა თავისი გამოხატულება. კამათი სწარმოებდა მარტოთ-მარტო ნემეც რუს მენშევიკებისა (კაუტსკი, კონი, ჰაზე, აქსელროდი) და ბალშევიკებს შორის; ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდენ სკანდინაველები, მემარცხენე გერმანელები და ნაწილობრივათ ლედებურიც, რომელმაც უკვე მაშინ დაიწყო ჩამოშორება თავისი ქვეყნის გაუსწორებელ პატრიოტულ დამოუკიდებლებიდან. ამის შედეგი ის იყო, რომ მიღებულ იქმნა მიმართვა ყველა ხალხების მიმართ, სადაც მოუწოდებდენ მათ აქტიურ რევოლიუციონურ გამოსვლებისაკენ. პირდაპირი პრაქტიკული შედეგი ამ მოწოდებას არა ჰქონია.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ საბოლოოდ გაჰყო სოციალისტები ორ ბანაკათ, რომელთა შორის საერთო აღარაფერი იყო. ბრესტის ზავმა მოსპო უკანასკნელი ილიუზიები შესახებ „სამართლიანი ზავისა“. ამნაირად ის მცირე მიზნები, რომელთაც ციმერვალდი ისახავდა, გაცამტვერდენ და მთელმა მოძრაობამ დაჰკარგა თავისი აზრი. რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის დიადი და მქუხარე ამბების წინაშე. ციმერვალდი მოკვდა საკუთარი სიმშლევის გამო.

იმ სოციალისტური პარტიების გაერთიანება, რომლებიც ბალშევიკურ-კომუნისტურ მოძრაობას ეკედლებოდენ, შესაძლებელი შეიქმნა მაშინ, როდესაც გერმანიის სამხედრო ჯგუფის უმთავრეს ქვეყნებში რეზოლიუციებიდან რევოლიუციებზე გადავიდენ. გერმანიაში და ყოფილ ავსტრო-უნგრეთში მომხდარ ნოემბრის გადატრიალების შემდეგ შესაძლებელი შეიქმნა ევროპის ამ ნაწილის სოციალისტური ორგანიზაციების გაერთიანება და ჯერჯერობით არალეგალური კავშირის დაჭერა საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტებთან. უკვე მომწიფდა მოთხოვნილება დაწყებულ საორგანიზაციო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა მტკიცე ორგანიზაციით და აი დაინიშნა პირველი სიეზდი მესამე კომუნისტური ორგანიზაციისა 1919 წლის 2 მარტს მოსკოვში.

სწორედ რომ ვთქვათ, მოწვეული იყო კონფერენცია, მაგრამ რადგანაც მასზე გამოცხადდენ საკმარისი რიცხვი ქვეყნების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ის გადაქცეულ იქმნა სიეზდათ. სიეზდზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები:

გერმანიის კომუნისტური პარტია (ალბერტი), რუსეთის კომუნისტური პარტია (ლენინი, ზინოვიევი, სტალინი, ბუხარინი, ჩიჩერინი, ობოლენსკი, ვოროვსკი), ავსტრიის კომუნისტური პარტია (გრუბერი, პეტინი), ვენგრიის კომუნისტური პარტია (რუდნიანსკი), შვეიცის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია (გრიმლუნდი), ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (სტანგი), შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (პლატენი), ამერიკის სოციალ-დემოკრატიული პარტია (რეინშტეინი), ბალკანეთის რევოლიუციონური ფედერაცია (რაკოვსკი), პოლონეთის კომუნისტური პარტია (უნშლიხტი), ფინლიანდიის კომუნისტური პარტია (სიროლია, მანნერი, კუსინენი, ი. რახია, ბ. რახია), უკრაინის კომუნისტური პარტია (სკრიპნიკი, გოპნერი), ლატვიშთა კომუნისტური პარტია (გაილისი), ლიტვის და ბელორუსიის კომუნისტური პარტია (გედრისი), ესტონეთის კომუნისტური პარტია (პეგელმანი), სომხეთის კომუნისტური პარტია (ეიკუნი), რუსეთის ნემეცურ კალონიების კომუნისტური პარტია (კლინგერი), რუსეთის აღმოსავლეთ ხალხების გაერთიანებული ჯგუფი (იალიმოვი, ბიკენტაერი, ალტიმიროვი, კასიმოვი, მანსუროვი), საფრანგეთის ციმერვალდელების მემარცხენე ფრთა (გილბო). გარდა ამისა სათათბირო ხმით ღებულნენ: ჩეხიის კომუნისტური პარტია (განდლირი), ბოლგარიის კომუნისტური ჯგუფი (ჯოროვი), სამხრეთ-სლავიანების კომუნისტური ჯგუფი (მილკიჩი), ინგლისის კომუნისტური ჯგუფი (ფაინბერგი), საფრანგეთის კომუნისტური ჯგუფი (სადული), ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (რეტგერსი), შვეიცარიის კომუნისტები (კავშირი), ჩინეთის სოციალისტური მუშათა პარტია და კორეის მუშათა კავშირი (ლაუ-სლუ-ჯაუ-ჩონ-გუნ-კულ კაინი), ციმერვალდის კომისია (ბალაბანოვა) და აღმოსავლეთ ხალხების ცენტრალური ბიუროს სექციები: თურქესტანის (იალიმოვი), თურქების (სუბხი), ქართველების (ელენტი), აზერბაიჯანის (ბაგიროვი) და სპარსელების (გუსეინოვი).

სიეზდმა მოისმინა მოხსენებები და მიიღო რეზოლიუციები შემდეგ საკითხებზე: 1) კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა (მომხსენებელნი ალბერტი და ბუხარინი), 2) ბურჟუაზიული დემოკრატია და პროლეტარული დიქტატურა (ლენინი და რახია), 3) როგორ დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ სოციალისტურ მიმდინარეობებთან ⁄ ბ. კონფერენციასთან (პლატენი და ზინოვიევი) 4) საერთაშორისო მდგომარეობა და შეთანხმების სახელმწიფოების პოლიტიკა (ობოლენსკი), 5) თეთრი ტერორი (მანნერი, ალბერტი, სიროლია). ამას გარდა მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა წვრილმან საკითხებზე სხვათა შორის შესახებ ციმერვალდის გაერთიანების მოქმედების შეწყვეტისა. მიღებულ იქნა მანიფესტი „მთელი ქვეყნის პროლეტარების მიმართ“ და დაწყდა მუდმივი ორგანოს — აღმასრულებელი კომიტეტის შექმნა. ამ კომიტეტში უნდა გამოგზავნონ თავისი მომადგენელნი ინტერნაციონალში მავალმა პარტიებმა რუსეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა, უნგრეთისა, ბალკანეთის ფედერაციისა, შვეიცარიისა და სკანდიანიისა, ხოლო მათ გამოგზავნადი რუსეთის კომუნისტურ პარტიას ლება მოაწყოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი და დანიშნოს თავ წრიდან პირები ბიუროში, რომელ ხუთი კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. ტიამ დანიშნა აღმასრულებელ კომიტეტ თავმჯდომარეთ ამხ. გ. ზინოვიევი.

დასავლეთ ევროპაში მომხდარ ახალ ცვლილებების გამო (საბჭოთა მთავრობის დაცემა უნგრეთში, კონტრ-რევოლუციონურ ელემენტების გამარჯვება გერმანიაში და სხ.) აქამდის არ მომხდარა წარმომადგენლების გამოგზავნა აღმასრულებელ კომიტეტში და მის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს დროებითი შემადგენლობა. მან გამოსცა და დაუგზავნა რადიო-ტელეგრაფის შემობით მოწოდებები ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბების შესახებ. სიეზდის შემდეგ სოციალისტური პარტიების მთელი რიგი მიემხრო კომუნისტურ ინტერნაციონალს, მათ შორის იტალიის და ჰოლანდიის პარტიები. კომუნისტური ინტერნაციონალი და მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტი გადაიქცა საორგანიზაციო ცენტრათ, რომლისკენაც მოიზიდებიან და რომლის გარშემოც ჯგუფდებიან სოციალისტური ორგანიზაციები, რომელთაც იმედი გაქვთ, რუვდათ შესახებ მსოფლიო კრიზისის გადაწყვეტისა ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზით.